სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/200

ქ. თბილისი

8 დეკემბერი 2022 წ.

2022-2023 სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის №01-05-02/36 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებსაც 2022-2023 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრში ფინანსური დავალიანების გამო შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი, დავალიანების 2022 წლის 25 დეკემბრამდე დაფარვის შემთხვევაში მიეცეთ სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლება იმავე სწავლების სემესტრში და შეუნარჩუნდეთ სტატუსის შეჩერებამდე დაგროვებული ქულები.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**